სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კიროვაკანის საჯარო სკოლა

ქართული , როგორც მეორე ენის მასწავლებელი - მარია ვახტანგიშვილი

# პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

## თემაზე: როგორ შევუწყოთ ხელი მოტივაციის ამაღლებას ქართული ენის სწავლების მიმართულებით არაქართულენოვან სკოლაში ?

სამიზნე ჯგუფები : საბაზო , საშუალო საფეხურის მოსწავლეები

მასწავლებლები, მშობლები

## ა ნ გ ა რ ი შ ი

## ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი

2018- 2019 სასწავლო წელი

# სარჩევი

**შესავალი.......................................................................................... 3**

საკვლევი საკითხის/პრობლემის აქტუალობა............................................ 4

კვლევის მიზანი ........................................................................................... 6

**ლიტერატურის მიმოხილვა ........................................................... 11**

**კვლევის დიზაინი........................................................................... 12**

საკვლევი შეკითხვები სამიზნე ჯგუფებისთვის :................................... 12

სამიზნე ჯგუფი:........................................................................................ 13

კვლევის მეთოდოლოგია........................................................................ 16

კვლევის შედეგების ანალიზი ................................................................ 21

მონაცემთა ანალიზის მიგნებები, დასკვნები......................................... 23

**ინტერვენციის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება............... 25**

ქმედებების/ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება....................... 25

ქმედებების / ინტრევენციების შედეგების შეფასება............................ 26

კვლევის ნაკლოვანებები, რეკომენდაციები............................................ 27

**დასკვნები ........................................................................................ 29**

**ლ ი ტ ე რ ა ტ რ ა............................................................................ 31**

**დანართები ...................................................................................... 32**

# შესავალი

ნაშრომი შედგება 5 თავისაგან. I თავში განხილულია საკვლევი კვლევის სტრუქტურა,საკითხის/პრობლემის აქტუალობა, პრობლემების იდენტიფიცირება და კვლევის მიზანი. II თავი ეხება სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომების შესწავლასა და კრიტიკულ ანალიზს. მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების გამოყენების მნიშვნელობას პედაგოგიურ პრაქტიკაში. III თავი-კვლევის დიზაინი - მასში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, წარმოდგელია საკვლევი შეკითხვები და განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფი. ასევე გაანალიზებულია კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები, გამოკვეთილია მიგნებები და დასკვნები. IV თავში განხილულია დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები, რომლებიც სრულად ეყრდნობიან მონაცემთა ანალიზის შედეგებს. აღწერილია განხორციელებისა და ინტერვენციების ეფექტურობა. ასევე განხილულია კვლევის ეტაპების ნაკლოვანებები და რეკომენდაციები. V თავი-დასკვნები აერთიანებს და აჯამებს კვლევის ყველა ნაწილის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. მასში წარმოდგენილია საკვლევ საკითხთან დაკავშირებული დასაბუთებები, რომლებიც ეყრდნობა დამუშავებულ ლიტერატურას, კვლევის შედეგებსა და ინტერვენციის შეფასებას.
ანგარიშის ბოლოს მოცემულია კვლევის პროცესში გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია. ასევე ნაშრომში, ბიბლიოგრაფიის შემდეგ, წარმოდგენილია დანართები: რაოდენობრივი კვლევის კითხვარი (მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების).

## საკვლევი საკითხის/პრობლემის აქტუალობა

როგორ შევუწყოთ ხელი მოტივაციის ამაღლებას არაქართულენოვან მოსწავლეებში ქართული ენის სწავლებისას?

საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. საქართველოს მოსახლეობის 15,2% ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენს. საქართველოში ორი დიდი - სომხებისა და აზერბაიჯანელების - ეთნიკური ჯგუფი სახლობს. სომხები შეადგენენ მოსახლეობის 5,7%-ს, ხოლო აზერბაიჯანელები - საქართველოს მოსახლეობის 6,5%-ს. აზერბაიჯანელები ძირითადად ქვემო ქართლსა (საქართველოს სამხრეთი ნაწილი) და შიდა ქართლში არიან დასახლებულნი, სომხები კი - სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონიდან - წალკის რაიონში არიან კომპაქტურად დასახლებულნი (საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი). საზოგადოებაში მათი ყოველდღიური კომუნიკაციისთვისა და ინტეგრაციისათვის აუცილებელი ფაქტორია სახელმწიფო ენის ფლობა. ამისათვის საჭიროა მოხდეს მათთვის ქართული ენის სრულფასოვნად დაუფლება, რაც ასევე გაზრდის ეთნიკური უმცირესობების წარმოადგენლების კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. აღნიშნული მიმართულებით ეფექტურ სვლებს საფუძველი ეყრება სწორედ სკოლაში მიღებული განათლებით.

განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები, სწავლა/სწავლების პროცესის მოდერნიზება იძულებულს ხდის მასწავლებელს, დაფიქრდეს ისეთი მეთოდების, ისეთი აქტივობების და პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომლებიც მოსწავლეს საგნისადმი მეტ ინტერესს გაუჩენს. რა უნდა მოვიმოქმედოთ იმისათვის, რომ ჩვენი მოსწავლეები ინტერესით დაეუფლონ სახელმწიფო ენას, ახალ ცოდნას, შეაფასონ საკუთარი შრომა და აჩვენონ მაღალი შედეგები.

მე, როგორც სომხურენოვან სკოლაში მომუშავე პედაგოგი , მიმაჩნია რომ აღნიშნული მიმართულების გასაუმჯობესებლად სწორედ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენ, როგორც ქართული ენის მასწავლებელს. ვფიქრობ ჩვენს მიერ განხორციელებული

ნებისმიერი აქტივობა მნიშვნელოვან ძვრებს უნდა ახდენდეს მათი მოტივაციის ასამაღლებლად - შეისწავლონ სახელმწიფო ენა.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ეხება მოსწავლეთა მოტივაციის ამღლებას ქართული ენის სწავლებისას, რომელიც რიგ შემთხვევებში განპირობებულია დაბალი მოტივაციით, ან მისი არქონით. საკვლევ საკითხს წარმოადგენს: **როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია ქართულ ენაში სომეხი ეროვნების ბავშვებთან ?**

პრაქტიკული კვლევის პროცესში გამოვიყენე როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები. ინტერვიუები, დისკუსია მოსწავლეებთან, კითხვარები პედაგოგებისთვის, მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სხვა.

კვლევის შედეგად გამოკვეთილმა პრობლემებმა ცხადყო, რომ გაკვეთილზე უნდა შევქმნა საინტერესო გარემო შეჯერებული მათი რეალური კომუნიკაციებისთვის საჭირო სტრატეგიებით, საჭიროა მეტად გამოვიყენო სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობა, თანამედროვე ტექნოლოგიები და სხვადასხვა რესურსი. ასევე დავნერგო ისეთი სტრატეგიები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებს ეთნიკური მოსწავლეების ბარიერებს მეტყველებაში.

გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები ენის დაუფლების პროცეში. მიუხედავად იმისა, რომ საგაკვეთილო პროცესი სრულიად ( აუცილებელი მთარგმნელობითი შემთხვევვის გარდა ) ქართულ ენაზე მიმდინარეობს და მოსწავლეებს აქვთ შესაბამისი გარემო ენის დაუფლებისა, მეტყველების კულტურა და ზოგადად გამართული საუბრის კულტურის დანერგვა მაინც პრობლემას წარმოადგენს.

## კვლევის მიზანი

ვიდრე უშუალოდ გადავალ კვლევის მიზანზე, მინდა ყურადღება გავამახვილოთ ამოსავალ საკითხზე : რა არის მოტივაცია ? როგორ შეიძლება ზოგადად მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება რომელიმე მიმართულებით ?

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებული და მნიშვნელოვანი ტერმინია თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. ის მოიცავს მოსწავლის ქმედებისა და ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებს, რომლებიც მას შიდა (ემოციები, გრძნობები, განცდები…) და გარე (გარემო) სტიმულებზე საპასუხო რეაქციისკენ უბიძგებენ. საზოგადოდ, ადამიანის ქმედება უმეტესად მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული და მას განსაზღვრული მოტივები უდევს საფუძვლად. აქედან გამომდინარე, მოტივაცია შეიძლება განიმარტოს როგორც სასურველი მიზნის მიღწევისკენ მიმართული პროცესი.

სწავლის მოტივაცია სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება. გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან შიდაპიროვნულ ფაქტორს, რომლებიც სწავლის მოტივაციას განაპირობებენ:
1) ცნობისმოყვარეობა; 2)თვითრწმენა ; 3) დამოკიდებულება ; 4 ) მოთხოვნილებები .

სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. **ცნობისმოყვარეობა** შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. ის გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისკენ, ახალი იდეების აღმოჩენისა და ჰიპოთეზების წარმოდგენისკენ, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობისმოყვარეობა მოსწავლეს კვლევა-ძიებისკენ უბიძებს.

**თვითრწმენა** მნიშვნელოვანი მოტივიაა სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. იმისთვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის

მიღწევაში. წარმატების განცდა მოსწავლეს, საზოგადოდ, ადამიანს ხშირად აღუძრავს სურვილს, აღმოჩნდეს მსგავს მდგომარეობაში, რაც თავისთავად იქცევა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორად.

**როგორ განვუმტკიცოთ მოსწავლეებს თვითრწმენა?**
ამისთვის მე უნდა ვფლობდე ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის დონისა და კომპეტენციების, სასწავლო პროცესისთვის ხელსაყრელი თუ არასასურველი რწმენის შესახებ. მე უნდა შევძლო ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნეგატიური რწმენის პოზიტიურით შეცვლას.

რაც შეეხება უშუალოდ სწავლის მიმართ მოსწავლის **დამოკიდებულების** გაუმჯობესებას, საჭიროა გავეცნოთ მის შემადგენელ კომპონენტებს, რომელთა გააზრებაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს, ადეკვატურად დაგეგმოს და გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგიები მოსწავლის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად:

. შევქმნათ მოსწავლეთათვის უსაფრთხო სასწავლო გარემო;
. შევიტანოთ ურთიერთობაში მეტი სიცხადე და სიზუსტე;
.გამოვიყენეთ ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ნდობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი;
. მივცეთ მოსწავლეებს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება;
. გამოვხატოთ პატივისცემა მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და იდეების მიმართ;
. შევეცადოთ განვსაზღვროთ, დამოკიდებულების რომელი კომპონენტი უდევს საფუძვლად მოსწავლის შეხედულებას;
. ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩავრთოთ მოსწავლე სასწავლო პროცესში და დავანახოთ საკუთარი მნიშვნელობა;
. მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, მსჯელობითა და დისკუსიებით თავად განსაზღვრონ პირადი დამოკიდებულება სწავლის მიმართ; გაიაზრონ არსებული დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები;
. მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, როგორ დაეხმარებათ პოზიტიური დამოკიდებულება სასწავლო ამოცანების დაძლევასა და მათ მომავალ წარმატებაში;
. მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მათ განვითარებასა და მომავალზე;

წავახალისოთ ისინი, რათა განუმტკიცდეთ თვითრწმენა.

მოსწავლეთა ინდივიდუალური **საჭიროებები** შესაძლოა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული იყოს. ამის შესახებ ყველაზე ცნობილ კლასიფიკაციას ამერიკელი ფსიქოლოგი **აბრაჰამ მასლოუ** გვთავაზობს. ის ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1. ბიოლოგიური (კვების, წყურვილის დაკმაყოფილების, ძილის…) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (სტაბილურობის, დაცულობის განცდის…) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, გუნდის, ურთიერთობების, ემპათიის…) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების (ამა თუ იმ სტატუსის ქონის, წარმატების, რეპუტაციის მოპოვების…) მოთხოვნილება; 5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.
მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელში ბიოლოგიური, ანუ საბაზისო მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზე განიხილება, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილებები _ ყველაზე მაღალ საფეხურზე. განათლების მიზნები ორიენტირებულია უფრო მაღალი მოთხოვნილებების ყოველდღიურ აუცილებლობად ქცევაზე. მოსწავლეებს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები უნდა ჩამოუყალიბდეთ, როგორიც არის გუნდურად მუშაობის უნარი, სოციალური აზროვნება, სხვისი აზრის მოსმენა და გაზიარება, თვითრეალიზება და ა.შ.

სკოლა ცოცხალი ორგანიზმია, მასში სასიცოცხლო პროცესები მიმდინარეობს. ორგანიზმს სასიცოცხლო პროცესების წარმართვისათვის ორგანოთა შეთანხმებული მუშაობა სჭირდება; ასევეა სკოლაც, მისი წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი რგოლების: მოსწავლისა და მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის, მასწავლებლისა და მშობლის შეთანხმებული მუშაობა. ამისათვის კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა აღნიშნული რგოლების მაღალი მოტივაცია. მაღალი მოტივაციის ყველაზე ხელშემწყობი ფაქტორი კი არის განწყობა, რომელსაც ძალიან მართებულად ასახავს ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე.

**დიმიტრი უზნაძე** ცდილობდა შეესწავლა ქცევის მიზანშეწონილობის საკითხი. ყოველგვარი ქცევა ფსიქიკით იმართება და მიზანშეწონილად მიმდინარეობს, ანუ ცოცხალი არსება გარემოში თავისი ‘‘მიზნების’’ შესაბამისი აქტივობის განხორციელებას ახერხებს.

უნდა არსებობდეს ფსიქიკური მექანიზმი, რომელიც ამას უზრუნველყოფს. გარკვეული ძიების შემდეგ ჯერ თეორიულად, ხოლო შემდეგ ემპირიულად, უზნაძემ მიაგნო ასეთ მექანიზმს და მას განწყობა უწოდა.

განწყობა არის სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს მის მზაობას კონკრეტული ქცევის შესასრულებლად. განწყობა წარმოიქმნება მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის საფუძველზე და განსაზღვრავს ყოველგვარი სახის ფსიქიკური აქტივობის აღძვრასა და მიმდინარეობას. განწყობა მიზანშეწონილ სახეს აძლევს ამ აქტივობას, ვინაიდან მასში ქცევის განხორციელებისთვის საჭირო ყველა სუბიექტური და ობიექტური მონაცემია ასახული.
ნებისმიერ ქცევას, უზნაძის მიხედვით, აუცილებლად წინ უსწრებს განწყობის აღმოცენება. იმისათვის რომ აღმოცენდეს ქცევა და შესაბამისად, ამ ქცევის ადეკვატური განწყობა, საჭიროა, არსებობდეს მოთხოვნილება (რომელსაც მომავალი ქცევის საშუალებით დავიკმაყოფილებთ) და სიტუაცია, რომელიც მოიცავს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფაქტორებს. განწყობა არის ფსიქოფიზიკური მზაობის მდგომარეობა. შესაბამისი განწყობის არსებობის გარეშე ადამიანი ვერაფერს გააკეთებდა, ყველა ფსიქიკურ პროცესს, ყველა ჩვენს ქცევას განწყობა ამოძრავებს და აძლევს მიმართულებას.

**ყოველივე ამის გათვალისწინებით, მე უნდა შევეცადო , რომ ჩემს არაქართველ მოსწავლეებთან შევქმნა ისეთი განწყობა, რომელიც აუმაღლებს მოტივაციას ქართული ენის სწავლებისას. ამისათვის კი უნდა გამოიკვეთოს მიზანი, პრობლემები და გადაჭრის გზები.**

**ჩემი პრაქტიკული კვლევის მიზანია** პრობლემის აქტუალობის დასაბუთება, ქართული ენის შესწავლის განწყობის შექმნა და ხარისხის გაუმჯობესება , მოსწავლეთა მოტივირებული ჩართულობა და მოტივაციის ასამაღლებელი სტრატეგიების ძიება-შემუშავება, პრობლემების დაძლევის გზები. მოსწავლე უნდა იყოს მოტივირებული, მიაღწიოს **ეროვნული სასწავლო გეგმით** გათვალისწინებულ მიზნებს.

## საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები

ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო გეგმა განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის. მისი მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლება და ამით ხელი შეუწყოს სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას. ეს არის ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

უფრო კონკრეტულად ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო გეგმის მიზანია, მოსწავლე უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს:

- წარმატებული კომუნიკაცია;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და გაგება;
- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ფასეულობების პატივისცემა;
- სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- ქართული ენის ცოდნის შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად;
- სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლა.

ამ საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, კერძოდ, მოსწავლემ უნდა:

1. აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
2. შეიძინოს სხვადასხვა ტიპის უნარ-ჩვევა:
    - სამეტყველო უნარ-ჩვევები (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი);
    - განსხვავებული კულტურის გაგების უნარი;
    - ენის სწავლის უნარ-ჩვევები (სწავლის სწავლა);
    - სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვა).

3. ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება:
   - პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა;
   - ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;
   - ენების სწავლის სურვილი და სხვა;
4. ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა.

## ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ეფექტური განხორციელებისთვის და დასახული მიზნის მისაღწევად დავიწყე ცოდნის გაღრმავება, მოვიძიე და გავეცანი ლიტერატურას მოტივაციის ამაღლების შესახებ და საჭიროებისამებრ დავამუშავე. კიდევ ერთხელ საფუძვლიანად გავიაზრე თანამედროვე მიდგომები და გამოვკვეთე ის კომპონენტები, რომლებიც დამეხმარება ისეთი სტრატეგიების ჩამოყალიბებაში, რაც ხელს შემიწყობს ავამაღლო მოტივაცია მოსწავლეებში, რომელთაც ფაქტობრივად ქართული სიტყვა ესმით მხოლოდ სასკოლო სივრცეში.

ვფიქრობ ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმა-სტანდარტი, რომელიც არის პირდაპირი ინდიკატორი მიზნიდან შედეგამდე: წინარე ცოდნის გათვალისწინებით ავაგოთ ის ეტაპობრივი სილაბუსები, რითაც მოსწავლეს მივცემთ საშუალებას არამარტო გარეგანი წამახალისებელი ფაქტორებით ჩაერთოს სახელმწიფო ენის სწავლებაში, არამედ აღვუძრათ შინაგანი მამოტივირებელი სტიმულები.

# კვლევის დიზაინი

## საკვლევი შეკითხვები სამიზნე ჯგუფებისთვის :

**მასწავლებლებს :**

1) რა ტიპის გაკვეთილებს ატარებთ უფრო ხშირად ? ( დიფერენცირებული, ინტეგრირებული, პროექტ- გაკვეთილი, კომბინირებული, პრაქტიკული უნარ - ჩვევების გასამყარებელი თუ სხვა ) შეგიძლიათ მონიშნოთ 1 ან 2 პასუხი.
2) რა დოზით იყენებთ ნებისმიერი ტიპის რესურსს გაკვეთილზე ?
3 ) ითვალისწინებთ თუ არა რესურსის მოძიების, შექმნის დროს ასაკობრივ თავისებურებებს ?
4) რამდენად არიან ჩართულები მოსწავლეები რესურსების შექმნა - მოძიებაში ?
5 ) რა დამოკიდებულება გაქვთ თანამედროვე ტექნოლოგიებთან ქართული ენის გაკვეთილზე ?
6) რა უფრო ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში ?
7) როდის არიან მოსწავლეები თქვენს გაკვეთილზე <u>არა</u> ან/და <u>ნაკლებად</u> მოტივირებულნი ?
8 ) რა იწვევს მოსწავლეებში ქართული ენისადმი ნაკლებ ინტერესს ? გამოკვეთეთ ერთი პრობლემა .
9) გაკვეთილი ძირითადად რომელ ენაზე მიმდინარეობს : ქართულ, სომხურ, სხვა .... თუ ორივე?
10) თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება სახელმწიფო ენის ფლობისა და გამოყენებისადმი ? ( გთხოვთ დაასაბუთოთ არგუმენტირებულად )

**მშობლებს :**

1 ) როგორ ფიქრობთ რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი შვილისთვის ქართული ენის ცოდნა ?

2 ) უწყობთ თუ არა ხელს ოჯახში , თქვენმა შვილმა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის რესურსი სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გასაუმჯობესებლად ?
3 ) როგორ შეიძლება მოტივაციის ამაღლება თქვენი შვილის შემთხვევაში ქართული ენის სწავლების მიმართულებით ? ( შეგიძლიათ დაასახელოთ ნებისმიერი კომპონენტი )

**მოსწავლეებს : ( ფარული გამოკითხვა )**

1) რას ნიშნავს შენთვის ქართული ენის ცოდნა ?
2) მოგწონს თუ არა ქართული ენის გაკვეთილები ? რატომ ?
3) რომელ კომპონენტში გაქვს დაბალი კომპეტენცია ?
   ა) კითხვა - გაგება;
   ბ) მოსმენა- გაგება ;
   გ) ზეპირი კომუნიკაცია ;
   დ) წერითი-კომუნიკაცია ;

4 ) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?

5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს ? აღწერე .

## სამიზნე ჯგუფი:

ვფიქრობ კვლევის რეალურად წარმართვისათვის საჭიროა იმ სამიზნე ჯგუფების შერჩევა, რომელთანაც პირადად მიწევს მუშაობა - ვგულისხმობ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს. ამასთანავე მიმაჩნია საინტერესო იქნება სხვა სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით, ამიტომ მოვახდინე მათი გამოკითხვა, რასაც ავსახავ ჩემს მიერ წარმოებულ კვლევაში. კვლევა ვაწარმოე როგორც წერითი გამოკითხვით, ასევე

შეხვედრებით სამიზნე ჯგუფებთან და მათი მოსაზრებების დაფიქსირებით.

**საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეები** - კვლევის დაწყების პერიოდიდან ვაწარმოებდი დაკვირვებას და ვინიშნავდი, როდის , რა შემთხვევაში იყვნენ მოსწავლეები მეტად მოტივირებულნი ქართული ენის დაუფლების მიმართულებით. გაკვეთილებზე გამოვიყენე მრავალფეროვანი რესურსი, აქტივობები, საინტერესო თამაშები, ტესტები, ტექნოლოგიური ჩართვები , პროექტები , ჯგუფური დავალებები და ფილმების თუ მულტილმების ჩვენება. ნებისმიერ შემთხვევაში იკვეთებოდა გარკვეული დაინტერესება თვითოეული აქტივობის მიმართ. იყო შეკითხვები, იყო მოსაზრებები. შესაბამისად ვახორციელებდით დისკუსიას, ვმსჯელობდით, სადაც იკვეთებოდა თვითოეული აქტივობის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. სააბოლოოდ კი, რაც ნათლად გამოიკვეთა, მოსწავლეების მხრიდან დაინტერესება, მოტივირებული გაკვეთილი იმ შემთხვევაში ხორციელდებოდა, თუკი თემა იყო **მათივე არჩეული, მათი ინტერესის სფერო** . ყოველივე ამას ადასტურებს მათივე პასუხები კითხვებზე წერილობითი ფორმით .

**მასწავლებლები** - ვაწარმოე კიროვაკანის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებლებთან შეხვედრები , მათი გამოკითხვა კვლევისთვის მნიშვნელოვანია. ეს დამეხმარა დავადგინო, როგორია მოსწავლეთა საჭიროებები მათ გაკვეთილზე, გავიგე მოსწავლეთა ჩართულობა- მოტივაცია საგაკვეთილო პროცესში, იყენებენ თუ არა მრავალფეროვან რესურსებს და როგორ აისახება ეს მათ განწყობაზე , უჭირთ თუ არა ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით რესურსების მოძიება, რესურსებს თავად ქმნიან თუ მოსწავლეები, რა ტიპის გაკვეთილებს წარმართავენ უფრო ხშირად და ძირითადად რა პრობლემები იკვეთება მათ გაკვეთილებზე.
მასწავლებლების გამოკითხვით და შედარებით, გავიგე რა ეხმარება ქართული ენის გაკვეთილებზე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, გავიზიარე მათი გამოცდილება და გავაცანი ჩემი უკუკავშირებიც.

**ასევე მივიჩნიე საჭიროდ** სხვა სკოლების მასწავლებელთა გამოკითხვაც, რაც ასევე გარკვეულწილად დამეხმარა კვლევის წარმოებასა და შემდგომ ჩემი საგაკვეთილო პროცესების უკეთ წარმართვისათვის.

მასწავლებლები ვთანხმდებით იმაზე, რომ საგაკვეთილო პროცესი ეფექტიანად რომ წარიმართოს, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს და მუდმივად ინარჩუნებდეს სწავლის მოტივაციას, მასწავლებელი სამი მიმართულებით უნდა იყოს ძლიერი:

- მასწავლებელი პროფესიონალურად უნდა ფლობდეს მოსწავლეთა მიდგომის უნარებს. მასწავლებელმა უნდა იცოდეს როგორი მეთოდებია უფრო ნაყოფიერი , შედეგზე ორიენტირებული და პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსაყენებელი, მით უფრო მაშინ, როდესაც **საქმე გვაქვს არამშობლიურ ენის სწავლებასთან.**

- პედაგოგს უნდა შეეძლოს სასწავლო გეგმის მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე. ის ეფექტურად უნდა გამოჰყოფდეს სასწავლო მასალიდან იმ ინფორმაციას, რომელიც მეტად საყურადღებო აღმოჩნდება მოსწავლისათვის, უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა პიროვნულ შესაძლებლობებს. პედაგოგს უნდა შეეძლოს სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობის შემოღება და განხორციელება, რითაც სასწავლო მასალა უფრო გამარტივებულად და ადვილად აღსაქმელად წარმოადგენს ყველა ტიპის მოსწავლისათვის.
- მასწავლებელმა უნდა შეძლოს კლასის მართვისთვის ეფექტური მეთოდების დანერგვა.

**მშობლები –**

მშობლები სამიზნე ჯგუფად ავირჩიე იმიტომ, რომ მოსწავლე დიდ დროს სწორედ ოჯახში ატარებს და სწორედ მოტივაციას სახელმწიფო ენის ცოდნასა და გამოყენებისადმი, ოჯახშიც უნდა ხედავდეს. მსურდა დამედგინა : რამდენად აუცილებლად მიაჩნიათ **არაქართულ ოჯახებს ქართული ენის ცოდნა,** რა მნიშვნელობას ანიწებენ მას, რა დოზით უწყობენ ხელს თავიანთ შვილებს შეისწავლონ სახელმწიფო ენა, რა როლს ასრულებენ ოჯახები და მშობლები ბავშვისთვის სასწავლო გარემოს შექმნასა და რესურსებით უზრუნველყოფად.

## კვლევის მეთოდოლოგია

### მეთოდები :

1. მონაცემების შეგროვება.
2. სამიზნე ჯგუფზე დაკვირვება.
3. რამდენიმე ტიპის კითხვარის შედგენა.
4. კითხვარის ანალიზი.
5. კითხვარის ანალიზის შემდეგ, გაჩენილი დამატებითი საჭიროებით, გამოკითხულებთან გამეორებით შეხვედრა.
6. პრობლემების გამოკვეთა და შესაბამისი პრევენციების დაგეგმვა/განხორციელება.
7. შედეგების შეფასება/ანალიზი.

ჩატარებული სამუშაოების შემდეგ დავგეგმე და ავირჩიე კვლევის სამიზნე ჯგუფებთან გამოსაყენებელი კვლევის მეთოდები:

1. **მოსწავლეებთან** მოვახდინე ფარული წერითი გამოკითხვა, ვინაიდან მიმაჩნია რომ ვინაობის არდაფიქსირების შემთხვევაში უფრო რეალურად გამოხატავენ საკუთარ აზრებს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მოტივაცია აუმაღლდებათ, თუკი გაკვეთილები იქნება უფრო სახალისო, უფრო საინტერესო და ხშირად ტექნოლოგიური ხასიათის. ასევე დააფიქსირეს , რომ მათი მოტივატორი ხშირ შემთხვევაში არის მასწავლებელი. მოსწავლეებმა დისკუსიის დროს ასევე აღნიშნეს, რომ **სახელმძღვანელოებში** არსებული მასალების უმეტესობა არ შეესაბამება მათი ინტერესის სფეროს. მათი სურვილია, სასკოლო წიგნები შეიცავდეს ისეთ თემებს, რომლეთა შესწავლითაც **აუმაღლდებათ ცნობიერება ,** გაეცნობიან პრაქტიკულ სიტუაციებს და მათი დავალებებიც ( წერითი თუ ზეპირი ) მეტად იქნება შეჯერებული პრაქტიკული დავალებებით.

2. **მასწავლებლებთან** გამოვიყენე კვლევის თვისობრივი მეთოდი ფოკუს-ჯგუფი, იმ მიზნით, რომ გავიგო აქვთ თუ არა მსგავსი პრობლემა მასწავლებლებს გაკვეთილებზე, სწავლა-სწავლების რა ხერხებსა და საშუალებებს იყენებენ მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად. შევუთანხმდი ქართული ენის მასწავლებლებს, შედგა შეხვედრა , გავაცანი საკითხები და შევთანხმდით დროზე. შეხვედრა მიმდინარეობდა ინტერაქტიულ რეჟიმში. მოვახდინე მათი პასუხების დაფიქსიერება. ასევე დანართის სახით გამოვიყენე მათი წერილობითი პასუხები წინასწარ შედგენილ კითხვებზე, რაც აუცილებელი იყო მონაცემთა შემდგომი ანალიზისთვის.

კლასებში შემსვლელ მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა დემოტივაციის მიზეზი ტრადიციული სასწავლო რესურსები (სურათები, დაფა, სახელმძღვანელო) და ლექციური ტიპის გაკვეთილებია. მათი თქმით გაკვეთილებზე მოსწავლეების მოტივაცია მაშინ მაღლდება, როდესაც მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით ტვირთავენ გაკვეთილს და როცა რესურსების გამოყენებას აქვს სისტემატიური ხასიათი. ასევე აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია , როცა ბავშვები თავად ქმნიან, ან მონაწილეობენ რესურსების შექმნაში.

ჩემმა კოლეგებმა ასევე აღნიშნეს, რომ მოსწავლეებში დაბალი მოტივაციის მიზეზი არის ასევე ქართულენოვანი **გარემოს არქონა ან ნაკლებად ქონა.**

3. **მშობლებთან** გამოვიყენე შეხვედრების ტიპის თვისობრივი მეთოდი, რათა გამეგო რას ფიქრობენ ისინი იმ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ჰქვია **დაბალი მოტივაცია ქართული ენის შესწავლის მიმართულებით .** ასევე წერილობით დააფიქსირეს საკუთარი ხედვები თემის ირგვლივ წინასწარ მომზადებულ კითხვებზე. მშობლების უმეტესობამ ღიად დააფიქსირა თავისი მოსაზრება: ისინი ფიქრობენ , რომ საჭიროებას ნამდვილად ხედავენ სახელმწიფო ენის ცოდნისა, მაგრამ სჯერათ რომ თუკი მასწავლებლები იქნებიან უფრო მეტად მოტივირებულნი და გაკვეთილები იქნება უფრო საინტერესო აქტივობებით დატვირთული, ბავშვებიც მეტად იქნებიან მოტივირებულნი. ვინაიდან მათი ოჯახები არის სომხურენოვანი , ისინი აღიარებენ რომ ნაკლებად არის ხელშეწყობა ოჯახების მხრიდან . სჯერათ, რომ იმ დატვირთვას,

რასაც ოჯახი ვერ უზრუნველყოფს, შესაძლოა შევსება მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან, ანუ **შეიქმნას მეტი პროგრამა ინტეგრირებისთვის,** სადაც ჩართულები იქნებიან მოსწავლეები და ამას ექნება რეგულარული ხასიათი.

**1. სჭირდებათ თუ არა, თქვენს შვილებს მოტივაციის ამაღლება ქართული ენის სწავლების მიმართულებით ?**




როგორ ფიქრობენ მასწავლებლები , რა სჭირდებათ არაქართველ მოსწავლეებს მოტივაციის ასამაღლებლად , რათა უკეთესად შეისწავლონ სახელწმიფო ენა ?
სახელმძღვანელოების შეცვლა, 20%
საინტერესო, სახალისო აქტივობები და მოტივირებული მასწავლებელი, 50%
ქართული გარემო, 30%
საინტერესო, სახალისო აქტივობები და მოტივირებული მასწავლებელი
ქართული გარემო
სახელმძღვანელოების შეცვლა


მოსწავლეების აზრით , როგორი ტიპის აქტივობებით გაჯერებული გაკვეთილები იქნებოდა მათთვის მეტად ეფექტური , უკეთესად შეისწავლონ სახელწმიფო ენა ?
25%
25%
50%
სახელმძღვანელოს გარეშე, დამატებითი რესურსებითა და აქტივობებით ჩატარებული გაკვეთილები
დისკუსია, დიალოგები, სალაპარაკო თემები
ტექნოლოგიების გამოყენება, ფილმები, მულტფილმები

## კვლევის შედეგების ანალიზი

**ჩემი პრაქტიკის არეალში** მუშაობამ და საკითხებზე ორიენტირებამ მომცა საშუალება გამეანალიზებინა მოსწავლისა და მასწავლებლის ფაქტორი, მოტივაციის ამაღლების შემთხვევაში მათი მიზნების თანხვედრა, თუმცა გარკვეულწილად არის მშობლისა და გარემოს ფაქტორებიც, მაგრამ ვფიქრობ შედარებით მეტი მოეთხოვება პედაგოგს.

### 1. მოსწავლის ფაქტორი

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული კონტექსტიდან, მათ აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები.

დასავლური სკოლა განასხვავებს გარეგან და შინაგან მოტივაციებს. მნიშვნელოვანია, გავიაზროთ ორივე ტიპის მოტივაციის როლი და ეფექტი.

გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისკენ, შინაგანი მოტივაციის დროს კი წახალისების, აღიარების ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი და ფოკუსი ცნობისმოყვარეობაზე, გამოწვევებზე, სოციალურ ინტერაქციაზეა. მაშინ, როცა სასწავლო პროცესში მოტივაციის ნაკლებობა შეიმჩნევა, აუცილებელია, განისაზღვროს ის სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეს შინაგან და გარეგან მოტივაციას აღუძრავს.

მოსწავლეთა გარეგან თუ შინაგან მოტივაციაზე გავლენას ახდენს ის სოციალური გარემო, საიდანაც ისინი მოდიან, ასევე – გარემო, სადაც უწევთ ყოფნა; მაგალითად, თუ რამდენად გაცნობიერებული აქვთ სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა, ის თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის სასწავლო მასალა, ოჯახის შემოსავალი, კონკრეტულ სფეროში დასაქმების სურვილი, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თანატოლებთან ურთიერთობის ფორმა და ხარისხი. მოსწავლის მოტივაციაზე ასევე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად ჩართულია საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მსვლელობაში. გრძელვადიანი საგაკვეთილო პროცესის გაცნობამ, მიზნების ნათლად დასახვამ შესაძლოა მოსწავლეებს მნიშვნელოვნად აუმაღლოს მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

## 2. მასწავლებლის ფაქტორი

მოსწავლეთა მამოტივირებელი შესაძლებელია იყოს მასწავლებლის მიერ საგნის მაღალ დონეზე ფლობა. მოსწავლეს აქვს მოლოდინი, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ის მოისმენს რაღაც ახალს, მიიღებს პასუხს კითხვებზე. ის უნდა ხედავდეს მასწავლებლის მოტივაციას, გადასცეს მას ახალი ცოდნა.

მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს ისეთ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა, სადაც მასწავლებელი სრულყოფილად ასახავს იმ პრიორიტეტებს, რაც მიიღწევა სახელმწიფო ენის ფლობით. იცნობს და პატივს სცემს მას, აფასებს მის ინტერესებს. მოსწავლე სწავლობს უკეთესად, როცა მასწავლებელი მშვიდად (და არა სტრესულად) წარმართავს სასწავლო პროცესს, იზიარებს მოსწავლეთა შეხედულებებს, არ განასხვავებს დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს, არ მიუთითებს შეცდომებზე. საგაკვეთილო პროცესის წარმართვის დროს სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს სხვადასხვა ტექნიკა: თამაშები, სიტუაციური ანალიზი, პროექტები, სახალისო აქტივობები, სადაც ჩართული იქნება თანაბრად ყველა მოსწავლე.

მასწავლებელი მუდამ ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ყურადღების მიპყრობაზე, რაც შესაძლებელია მისი ინტერესების გათვალისწინებით, ცნობისმოყვარეობის გაღვივებით, მისი ძლიერი მხარეების გამოყენებით საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია ენთუზიაზმით სავსე მასწავლებელი. მოსწავლე საგაკვეთილო თემის მნიშვნელობას იზიარებს, თუ მასწავლებელი ენთუზიაზმით უდგება მის განხილვას.

მასწავლებელი-დიპლომატი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც მასწავლებელი-საგნის მცოდნე. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია, მასწავლებელმა ააწყოს და დააბალანსოს ურთიერთობები მოსწავლეებთან. მოსწავლე, რომელიც გრძნობს მხარდაჭერას, ნდობას და დაფასებას, თავდაჯერებულია. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში მაღალი მოტივაციის ალბათობა უფრო მეტია. ხშირი უკუკავშირი, მოსწავლეებისადმი თანაბარი მიდგომა, აქცენტი მიღწევებზე, განმავითარებელი შეფასებები – ეს ის არასრული ჩამონათვალია, რასაც შეიძლება მასწავლებელმა მიმართოს.

## მონაცემთა ანალიზის მიგნებები, დასკვნები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

ძირითადი მიგნებები: მონაცემთა ანალიზის შედეგად მიგნებულია პრობლემა- მოსწავლეებს აქვს დაბალი მოტივაცია ქართული ენისადმი, ნაკლებია მასწავლებლის როლი მოტივაციის ამაღლების კუთხით, ნაკლებად არიან ჩართული სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, განიცდიან შექებისა და ჯილდოს ნაკლებობას, დავალების სირთულე უქვეითებს მოტივაციას სწავლისადმი, მშობლები ნაკლებად არიან ჩართული შვილების მოტივაციის ამაღლების კუთხით, არ იციან, რომ სხვადასხვა კუთხით მოტივაციის ამაღლება ხელს უწყობს საგნისადმი ინტერესს და სწავლების დონეც მაღალია, ხშირად არ იყენებენ მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისებას.

მონაცემთა ანალიზის დადგენის შემდეგ გადავწყვიტე:

1. გავეცნო მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ ლიტარატურას .
2. შევიმუშავო მოტივაციის ამაღლებისთვის საჭირო სტრატეგიები.
3. შევიმუშავო სხვადასხვა ინტერვენციები მოტივაციის ამაღლების მიზნით.
4. ჩემი, როგორც მასწავლებლის როლი, თუ რა ხერხით შეიძლება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება.
5. გავიზიარო გამოცდილი პედაგოგების პრაქტიკა.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე განვახორციელე ჯგუფური მუშაობები, ვიქტორინები , ჩავრთე მოსწავლეები სხვადასხვა პროექტებში, დავამეგობრე ქართველ ბავშვებთან , მოვამზადე გაგება - გააზრებაზე ორიენტირებული და ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელი ტესტები და ა. შ., ჩემი როლი მდგომარეობს იმაში, რომ ჩემმა მოსწავლეებმა დაინახონ ჩემი, როგორც სახელმწიფო ენის მასწავლებლის ენთუზიაზმი, შრომისმოყვარეობა, ჰუმანურობა, ვიყენებდი პოზიტიურ, დადებით შექებას, ყოველთვის ვცდილობდი გარკვეულ საკითხებში მოსწავლეთა დახმარებას, ვიყავი მათი ფასილიტატორი, რომელმაც გაუღვიძა მოსწავლეებს ქართული ენის სწავლების მეტი ინტერესი.

გავითვალისწინე ასევე მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები.

კვლევის შედეგად დავადგინე, რომ სხვადასხვა სახის აქტივობებით და მასწავლებლის დახმარებით იზრდება მოსწავლეებში მოტივაცია სწავლისადმი.

გამომდინარე აქედან, შემიძლია კოლეგებს გავუზიარო ჩემი გამოცდილება და მივცე რეკომენდაციები.

*მიუხედავად სწავლების განსხვავებული მეთოდებისა, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ პრაქტიკაში, მნიშვნელოვანია ჩვენ ვიპოვოთ საკუთარი სტილი, რაც მორგებული იქნება ჩვენს პიროვნებასა და იმას, თუ როგორ ვხედავთ საკუთარ თავს საკლასო ოთახში. ეს არ ნიშნავს არსებული მეთოდების უგულებელყოფას,*
*პირიქით, ეს არის გამოცდილებასთან ერთად მოსული ინტერპრეტირების უნარი, გაგება იმისა, თუ რას ნიშნავს იყო ენის მასწავლებელი, რა ღირებულებები, თეორიები დასკვნები უნდა გვეხმარებოდეს ჩვენ , როგორც მასწავლებელს. ეს არის ის ეტაპი, როდესაც უკვე აცნობიერებ რა გზით ვითარდება*
*ენა შემსწავლელებში, რა ტიპის უკუკავშირი ეხმარება ენის სწავლის პროცესს, რა მიმართულებით უნდა წარვმართო აქტივობები ისე, რომ მოსწავლეებმა*
*მაქსიმალური სარგებელი მიიღონ დავალებებზე თუ პროექტებზე მუშაობის დროს.*

*ამ პროცესში ჩვენ , როგორც მასწავლებელს გვივითარდება საკუთარი თეორიები და პრინციპები , რაც ჩვენ სურს - მოვარგოთ სწავლებას. ყველაზე*
*დიდი გამოწვევა ენის მასწავლებლებისათვის მაინც მოსწავლეთა დაინტერესებაა. ამის გადასაჭრელად კი უნდა გვახსოვდეს, რომ ენის გაკვეთილები გავხადოთ სახალისო, ნაკლებად დამღლელი და მოსწავლეების პირად ინტერესებს მორგებული.*

## ინტერვენციის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება

### ქმედებების/ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება

ფოკუს ჯგუფების, ინტერვიუებისა და ანკეტირების შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად, მე, როგორც ქართული ენის მასწავლებელმა , მივიღე გადაწყვეტილება ინტერვენციის დაგეგმვის შესახებ:
**ქართული ენის გაკვეთილების გამრავალფეროვნება, მოსწავლეების მოტივაციის ამაღლების მიზნით.**
ჩემი და სხვა პედაგოგების პრაქტიკის გაზიარებიდან გამომდინარე, მე მოსწავლეებს შევთავაზე რიგი აქტივობები, რომელიც მოსწავლეებს მოტივაციას აუმაღლებდა და რა თქმა უნდა ეს აქტივობები შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო მიზნებს. კერძოდ:

- **მათთვის საინტერესო თემები ;**
- **სასწავლო რესურსების , მათ შორის ელექტრონული რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში**
- **ჯგუფური დავალებები;**
- **თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ახალი მასალის ახსნისას და პრეზენტაციების გაკეთება;**

ამ ტიპის დავალებებით მოსწავლეებს უმაღლდებათ ცნობიერება, უვითარდებათ თანამედროვე უნარ-ჩვევები და უმაღლდებათ შინაგანი მოტივაცია. ასევე აღსანიშნავია, რომ როდესაც ამ ყოველივეს მოსწავლე ახორციელებს ქართულ ენაზე, გარდაუვალია მშობლიურენოვანი სპეციფიკები, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ყოველივე დაძლევადია, და საბოლოოდ მოხდება სახელმწიფო **ენის დახვეწა და გამოყენება საჭიროებისამებრ.**
ზემოაღნიშნულ დავალებების შესრულება მოსწავლეებს უწევდათ როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში და ჯგუფებშიც, რაც მოსწავლეთა შორის ურთიერთთანამშრომლობას უწყობს ხელს.

## ქმედებების / ინტრევენციების შედეგების შეფასება

ინტერვენციის შესაფასებლად გამოვიყენე ჩაღრმავებული ინტერვიუ მოსწავლეებთან, თუ რამდენად მოსწონთ ამ ტიპის ქართული ენის გაკვეთილები, უმრავლესობამ განაცხადა, რომ მოსწონთ. მოწონება გადაიზარდა სურვილში, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ აიწია მათი შინაგანი მოტივაციის დონემ. მეტი მონდომებით ჩაერთვნენ სწავლების პროცესში, შეეცადნენ და გარკვეულწილად დაძლიეს კიდეც ის კომპლექსები, რაც იყო დაკავშირებული სალაპარაკო ეტაპზე.

ინტერვენციები მიმდინარეობდა თითქმის 4 თვის მანძილზე. დაგეგმილი ინტერვენციების შეფასების მიზნით და იმის დასადგენად, რამდენად ამაღლდა მოტივაცია განხორციელებული ჩარევების შემდეგ, ჩავატარე გაკვეთილი მე-9 და მე-10 კლასებში. დამესწრნენ კათედრის წევრები. გაკვეთილმა მოწონება დაიმსახურა.

კვლევის ბოლო ეტაპზე კიდევ ჩავატარე გამოკითხვა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მდგომარეობა შესამჩნევად შეიცვალა. მოსწავლეები გააქტიურდნენ: ერთვებიან გაკვეთილში, ცდილობენ სასწავლო რესურსების შექმნას, იყენებენ ინტერნეტრესურსებს, ცდილობენ ილაპარაკონ ქართულად. აღარ არის გაკვეთილი მათთვის მოსაწყენი და დამღლელი. თვითონ ირჩევენ დავალებებს და ხალისით ასრულებენ. მოტივაცია აშკარად ამაღლდა, თუმცა, იგივეს თქმა არ შემიძლია მე-8 კლასზე, ამ კლასთან ვფიქრობ მეტი მუშაობაა საჭირო, ასევე მშობლების მხრიდან მეტი მხარდაჭერა. კვლევის ნაკლოვანებად მიმაჩნია მშობელთა დაბალი ჩართულობა. სხვა პრობლემებთან ერთად, ეს ენობრივი ბარიერითაც არის გამოწვეული.

კვლევის დასრულების შემდეგ, ქართული ენის კათედრაზე გავაკეთე პრეზენტაცია. კათედრის წევრებს გავაცანი კვლევის გეგმა, პრობლემა, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, მიზანი, კვლევის ამოცანები, საკვლევი კითხვები, გამოყენებული ლიტერატურა, კვლევის მეთოდები. მონაცემთა ანალიზი წარმოვადგინე დიაგრამების სახით, გავაცანი დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები, ინტერვენციების შედეგები.

შედეგების გაზიარება საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისთვის. მათ აღნიშნეს, რომ სასურველია მოსწავლეებმა ხშირად მიიღონ

მონაწილეობა გამოკითხვაში, რომ ზუსტად დავადგინოთ მათი პრობლემები და საჭიროებები და ამის მიხედვით შევარჩიოთ აქტივობები, ანუ მოსწავლეთა ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

კვლევის ანგარიში გავაცანი დირექტორს და შეფასების ჯგუფის სხვა წევრებს. მათ აღნიშნეს, რომ პრობლემა ძალიან აქტუალურია და მის მოგვარებაზე მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანი, რაც დადებითად აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე.

## კვლევის ნაკლოვანებები, რეკომენდაციები

**რეკომენდაციები:**

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას რომ სასურველია შეიცვალოს სახელმძღვანელოებში მოცემული ზოგიერთი ტექსტი ,სადაც მეტ-ნაკლებად უინტერესო და გამოუყენებელი ტექსტებია წარმოდგენილი ,რაც მოსწავლეებს უკარგავს სწავლისადმი ინტერესს, თემატიკა შერჩეული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ასევე ლექსიკა უნდა იყოს თანამედროვე , რათა აქტიურად შეძლონ მოსწავლეებმა მისი პრაქტიკაში გამოყენება. სახელმძღვანელოში უნდა იყოს უფრო მეტი სასაუბრო აქტივობები, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ ნასწავლის ტრანსფერის უნარი, შეძლონ საჭიროებისამებრ გამოიყენონ საუბარში ნასწავლი მასალა. სასურველია მეტი ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების ჩატარება. ერთერთი რეკომენდაცია შეიძლება იყოს ის, რომ სასურველი იქნება თუ გვექნება შესაძლებლობა რომ ხშირად გამოვიყენოთ ტექნოლოგიები გაკვეთილზე, ასევე მოსწავლეები ვამუშაოთ ხშირად ჯგუფებში, მიიღონ

მონაწილეობა დისკუსიებში, რათა მიეჩვიონ საკუთარი აზრის დაფიქსირებას და მის დაცვას.  ასევე :

**1. უნდა  გავამდიდროთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებით და სტრატეგიებით:**

 ლინგვისტური თამაშები,მასწავლებელს შეუძლია შეთავაზოს მოსწავლეებს სამეტყველო ნიმუშის სისტემა, თითოეული მოდელი ხასიათდება კონკრეტულობით, მიეწოდება მარტივი წინადადებების სახით. მისი ანალოგიით შეუძლიათ ააგოს რამდენიმე ფრაზა. ასეთი სამუშაო ხელს უწყობს გრამატიკული მასალის ათვისებას.

 როლური თამაშები. როლური თამაში შეიძლება განხორციელდეს სასწავლო სიტუაციისა და ბუნებრივი, რეალური სიტუაციის საფუძველზე. ამით უფრო სახალისო და საინტერესო გახდება სასწავლო პროცესი.

 სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში, საერთაშორისო გამოცდებში, პროექტებში ჩართვა.

**2. ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.**

გარკვეულ შემთხვევაში არჩევანის უფლების მინიჭება

 მივცეთ მოსწავლეებს აზრის თამამად გამოხატვის შესაძლებლობა

 დავარწმუნოთ  მოსწავლე  საკუთარ  შესაძლებლობაში

 მოსწავლეთა რჩევების გათვალისწინება. მაგ: რა უფრო საინტერესო იქნება მათთვის.

# დასკვნები

**დასკვნის** სახით დავაკონკრეტებ, რომ ჩვენ ვიღებთ დიდ პასუხისმგებლობას, ვინაიდან ვართ სახელმწიფო ინტერესების დამცველი სუბიექტები, ვართ სახელმწიფო ენის შემსწავლელი მასწავლებლები და ვალდებულები ვართ არაქართულენოვან გარემოში მეტი სიხალისით, მეტი აქტიურობით და მრავალფეროვანი აქტივობებით გავუღვივოთ ინტერესი არაქართულენოვან მოსწავლეებს, დაინახონ მეტი საჭიროება ქართული ენის დაუფლებისა, რათა მეტი მონდომებით ისწავლონ და გამოიყენონ სახელმწიფო ენა.

სწავლა/სწავლების პროცესში დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით უცხო ენის სწავლების პირველი საფეხური. ამ დროს მათთვის სხვადასხვა არასაგაკვეთილო აქტივობების ან არასტანდარტული პროცედურების შეთავაზება ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას. თუმცა მოტივაციის დაქვეითება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს დავუსახავთ ისეთ მოლოდინებს, რომელთა შესრულებაც მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე შეუძლებელია. მოტივაციის როლი, კი, უცხო ენის შესწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესია და შედეგი მეტწილად დამოკიდებულია მოტივაციის ქონა/არქონაზე.

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით შემიძლია დავასკვნა, რომ მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზებია: უინტერესო სახელმძღვანელოები, მასწავლებლის არასწორი მიდგომები, სახელმძღვანელოში მოცემული ლექსიკის შეუსაბამობა მოსწავლეთა ასაკთან და ა.შ. სახელმძღვანელოს თემატიკა შერჩეული უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა იყოს უფრო მეტი სასაუბრო აქტივობები, რათა მოსწავლეებს ტრანსფერი არ გაუჭირდეთ. ისტ
-ით გამდიდრებული გაკვეთილებიც საკმაოდ აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. და რაც მთავარია მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს დამატებითი რესურსების მოძიებას და გამოყენებას.

**რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია**

რას ვასწავლით, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია თუ როგორ ვასწავლით. საინტერესოდ წარმოდგენილი მასალა და აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციის ამაღლებას. ენის სწავლებისას არ უნდა ჩავეჭიდოთ მხოლოდ ერთ მეთოდს, საჭიროა მოვსინჯოთ ბევრი მათგანი და შევარჩიოთ ის , რომელიც უფრო ეფექტური აღმოჩნდება მოტივაციის ასამაღლებლად.
აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები,
დავალებები და აქტივობები შესაძლებლობების მიხედვით შევარჩიოთ. უმჯობესია, თუ პირდაპირ არ მივყვებით სახელმძღვანელოს მასალას და მოვახერხებთ მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით მრავალფეროვნების დანერგვას.

## ლ ი ტ ე რ ა ტ რ ა


ა) დოკუმენტი - ,,ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის '' ( შ. ტაბატაძე, ნ. გორგაძე, კ. გაბუნია ) ;
ბ) ქართული, როგორც მეორე ენა - სტანდარტი ;
გ) დიმიტრი უზნაძის ,, განწყობის თეორია '' ;
დ) ჟურნალი მასწავლებელი ,, როგორ ავიმაღლოთ სწავლის მოტივაცია '' ;
ე) აბრაამ მასლოუს თეორია ;
ვ) edu.aris .ge .- ,,როგორ ავიმაღლოთ მოტივაცია სწავლის პროცესში";
ზ ) http://mastsavlebeli.ge/?p=17651 - დიფერენცირებული სწავლება ;
თ) მაია ფირჩხაძე ცოდნის სისტემატიზაციის, გამეორება - mastsavlebeli.ge

ი) „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები" -tpdc.ge 2011;
კ) „სამოქმედო კვლევა". სახელმძღვანელო მკვლევარი მასწავლებლებისთვის

# დანართები

## კ ვ ლ ე ვ ი ს   რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა

კვლევა ჩავატარე საბაზო და საშუალო საფეხურზე - მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში, სულ 36 მოსწავლესთან , მშობლებთან და მასწავლებლებთან. მივმართე როგორც ანკეტირებას, ასევე თვისობრივ კვლევას, მქონდა ჩაღრმავებული ინტერვუები ფოკუს-ჯგუფებთან. კვლევის შედეგების გაზიარება მოვახდინე სამუშაო შეხვედრაზე კოლეგებთან.

მათ გავაცანი ჩემი კვლევა, თუ როგორ მოვახდინე მოსწავლეთათვის მე-9 და -მე-10 კლასებში მოტივაციის ამაღლება, რაც გამოიხატა იმაში, რომ მათ აკადემიურ მოსწრებამ საგრძნობლად იმატა.

კოლეგებთან მქონდა დისკუსია ჩემი კვლევის შესახებ, რომ პედაგოგი მუდმივად უნდა იყოს ძიების და სწავლის პროცესში და შემდეგ გამოიყენოს მოსწავლეებთან მუშაობაში.

კოლეგებმა აღიარეს, რომ სწავლების სხვადასხვა მეთოდები და სტრატეგიების გამოყენება გაკვეთილებზე ნამდვილად ეფექტურია და ამით მოსწავლეებს სხვადასხვა სოციალურ და კომუნიკაბელურ უნარ-ჩვევებს ვუვითარებთ. განსაკუთრებით კი მუშაობა წყვილებში, ჯგუფებში, სადაც ხდება სხვისი აზრის გაზიარება, საკუთარის - წარმოჩენა, გუნდურობა, ლიდერობა და ა. შ.

იმისათვის, რომ ჩემი მოსწავლეები მუდამ მყავდეს ჩემი საგნით დაინტერესებული, ყოველთვის უნდა შევეცადო, სწავლების თანამედროვე მეთოდები, სტრატეგიები და ასევე მრავალფეროვანი რესურსი გამოვიყენო, აქტიურად ვითანამშრომლო კოლეგებთან და გავიზიარო მათი მუშაობის პრაქტიკა, გარდა ამისა დავისწრო გაკვეთილებზე „კრიტიკული მეგობარი“ და მივიღო მისგან უკუკავშირი.

საკუთარი პრაქტიკის კვლევა უნდა განახორციელონ პედაგოგებმა, ვინც აპირებს პროფესიულ ზრდას და კარიერულ წინსვლას. ვფიქრობ, ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა ჩემს კოლეგებს გამოადგებათ.

კვლევის დასრულების შემდეგ მიღებული შედეგები გავუზიარე კოლეგებს პრეზენტაციის სახით, რაც ძალაინ საინტერესო აღმოჩნდა მათთვის. მათ დაადასტურეს, რომ საკვლევი პრობლემა იყო მართლაც

აქტუალური. დაინტერესდნენ შედეგებით. პრეზენტაციის ბოლოს გაიმართა დისკუსია, საინტერესი იყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ, რა გზებით თუ სტრატეგიებით არის შესაძლებელი მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება. ყველა პედაგოგმა გაიხსენა საკუთარი აქტივობები, ისინი აანალიზებდნენ სხვადასხვა სიტუაციას და გამოთქვამდნენ მოსაზრებებს. მოვისმინე განსხვავებული მოსაზრებებიც, მივიღე საინტერესო რჩევები, რასაც გავითვალისწინებ მომავალ საქმიანობაში.

საბოლოო ჯამში, მინდა აღვნიშნო, რომ მთელი ეს პროცესი, რომელსაც მოიცავს ჩემი კვლევა, იყო ძალიან საინტერესო. მსგავსი ტიპის აქტივობა პირველად განვახორციელე და უამრავი საინტერესო ფაქტორი აღმოვაჩინე, საკუთარი შესაძლებლობები და სამუშაო პროცესი დავინახე სხვა რაკურსით. ასევე, განსხვავებულად შევაფასე საკუთარი სამუშაო პროცესი და აღმოვაჩინე დეტალები, რომელთა გაუმჯობესებაზეც უნდა ვიმუშაო შემდგომში.

წარმატება მინდა ვუსურვო ყველას და მათ შორის საკუთარ საკუთარ მეს ! ! !

# კ ვ ლ ე ვ ი ს   ვ ა დ ე ბ ი

| *აქტივობა* | *თებერვალი* | *მარტი* | *აპრილი* | *მაისი* | *ივნისი* |
|---|---|---|---|---|---|
| პრობლემის იდენტიფიცირება | x | | | | |
| კვლევის გეგმის შემუშავება | x | | | | |
| ლიტერატურის მიმოხილვა | x | | | | |
| მოსწავლეებზე დაკვირვება | | x | x | | |
| მოსწავლეების ანკეტირება | | x | x | | |
| მონაცემების დამუშავება | | | X | | |
| ინტერვენციების განხორციელება | | | X | | |
| ინტერვენციის შემდგომი დაკვირვება და რეკომენდაციები | | | | X | |
| კათედრის წევრებთან გაცნობა | | | | | X |
| ანგარიშის დაწერა | | | | | X |







სამიზნე ჯგუფი - მასწავლებლები

გთხოვთ მიუთითოთ სკოლა და სახელი, გვარი

მარნეული, სოფ. ალგეთის N3 საჯარო სკოლა; ნანა მელიქიძე

1) რა ტიპის გაკვეთილებს ატარებთ უფრო ხშირად ? ( დიფერენცირებული, ინტეგრირებული, პროექტ- გაკვეთილი, კომბინირებული, პრაქტიკული უნარ - ჩვევების გასამყარებელი თუ სხვა ) შეგიძლიათ მონიშნოთ 1 ან 2 პასუხი.

ზემოთ აღნიშნულ ყველა ტიპის გაკვეთილს ვატარებ. თუმცა, ხშირად დიფერენცირებულ სწავლებას მივმართავ.

2) რა დოზით იყენებთ ნებისმიერი ტიპის რესურსს გაკვეთილზე ?

რესურსებს ვიყენებ ზომიერად, ჩემი მოსწავლეების საჭიროების მიხედვით.

3 ) ითვალისწინებთ თუ არა რესურსის მოძიების, შექმნის დროს ასაკობრივ თავისებურებებს ?

რა თქმა უნდა, რესურსის შექმნისას ყოველთვის ვითვალისწინებ ასაკობრივ თავისებურებებს და ცოდნის დონეს.

4) რამდენად არიან ჩართულები მოსწავლეები რესურსების შექმნა - მოძიებაში ?

ნაწილობრივ არიან ჩართული, საგაკვეთილო პროცესისას. სახლში ვერ ახერხებენ ამას, რადგან არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა.

5 ) რა დამოკიდებულება გაქვთ თანამედროვე ტექნოლოგიებთან ქართული ენის გაკვეთილზე ?

ნაწილობრივ ვიყენებ. ვსარგებლობ საკუთარი ნოუთბუქით, მაგრამ ყველა საკლასო ოთახში არ გვაქვს ჭკვიანი დაფა

6) რა უფრო ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში ?

ჩართულობას ზრდის, რაც შეიძლება გასაგები მასალა (ქართული ენა) და ასევე, მრავალფეროვანი რესურსის ხშირი სხვადასხვა გაკვეთილს.



7) როდის არიან მოსწავლეები თქვენს გაკვეთილზე არა ან/და ნაკლებად მოტივირებულნი ?

ნაკლებად მოტივირებულნი იშვიათად არიან. ეს ხდება მაშინ, როდესაც თემა მათთვის უინტერესოა.

8) რა იწვევს მოსწავლეებში ქართული ენისადმი ნაკლებ ინტერესს ? გამოკვეთეთ ერთი პრობლემა .

ჩემი აზრით, ქართული ენისადმი ნაკლებ ინტერესს ზოგადად სწავლისადმი ზერელე დამოკიდებულება და ეთნიკური საზოგადოებიდან ნაკლები ინფორმირებულობა იწვევს.

9) გაკვეთილი ძირითადად რომელ ენაზე მიმდინარეობს : ქართულ, სომხურ, ან სხვა... თუ ორივე?

გაკვეთილი ყოველთვის ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

10) თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება სახელმწიფო ენის ფლობისა და გამოყენებისადმი ? ( გთხოვთ დაასაბუთოთ არგუმენტირებულად )

მოტივაციის ამაღლებას [illegible] მათ დაინტერესება სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროებით. ამისათვის კი სავალდებულოა მეტი ინტენსიური [illegible] სკოლებში, [illegible] მეტი [illegible] ქართველი [illegible] მეტი [illegible] ღონისძიებები და [illegible] ქართული სახელმწიფოებრივი [illegible] ქალაქ [illegible], [illegible], [illegible] [illegible] ბავშვები, [illegible] [illegible] და ა.შ.



**სამიზნე ჯგუფი - მასწავლებლები**

გთხოვთ მიუთითოთ სკოლა და სახელი, გვარი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ლომათის საჯარო სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებელი [illegible].

1) რა ტიპის გაკვეთილებს ატარებთ უფრო ხშირად? ( დიფერენცირებული, ინტეგრირებული, პროექტ- გაკვეთილი, კომბინირებული, პრაქტიკული უნარ - ჩვევების გასამყარებელი თუ სხვა ) შეგიძლიათ მონიშნოთ 1 ან 2 პასუხი.

უფრო ხშირად ვატარებ დიფერენცირებულ და ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

2) რა დოზით იყენებთ ნებისმიერი ტიპის რესურსს გაკვეთილზე?

ხანდახან ვიყენებ.

3) ითვალისწინებთ თუ არა რესურსის მოძიების, შექმნის დროს ასაკობრივ თავისებურებებს?

ვითვალისწინებ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს რესურსის მოძიების და შექმნის დროს.

4) რამდენად არიან ჩართულები მოსწავლეები რესურსების შექმნა - მოძიებაში ?

უფრო ხშირად მაღალი კლასის მოსწავლეები არიან ჩართული, ხოლო დაბალი კლასის მოსწავლეები იშვიათად.

5) რა დამოკიდებულება გაქვთ თანამედროვე ტექნოლოგიებთან ქართული ენის გაკვეთილზე?

იშვიათად ვიყენებ თანამედროვე ტექნოლოგიებს ქართული ენის გაკვეთილზე.

6) რა უფრო ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში?

მოსწავლეთა ჩართულობას ზრდის თვალსაჩინო მასალები, ჯგუფური მუშაობა, საინტერესო აქტივობები და სხვა.



7) როდის არიან მოსწავლეები თქვენს გაკვეთილზე არა ან/და ნაკლებად მოტივირებულნი ?

ნაკლებად მოტივირებულები არიან, როცა ვიყენებ მხოლოდ სახელმძღვანელოს.

8 ) რა იწვევს მოსწავლეებში ქართული ენისადმი ნაკლებ ინტერესს ? გამოკვეთეთ ერთი პრობლემა .

არაქართული გარემო.

9) გაკვეთილი ძირითადად რომელ ენაზე მიმდინარეობს : ქართულ, სომხურ, თუ ორივე.

ძირითადად მიმდინარეობს ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში სომხურსაც ვხმარობ.

10) თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება სახელმწიფო ენის ფლობისა და გამოყენებისადმი ? ( გთხოვთ დაასაბუთოთ არგუმენტირებულად )

სახელმწიფო ენის ფლობის და გამოყენებისადმი მოტივაციის ამაღლება: ხშირი ბანაკები, კონკრეტული ურთიერთობები, რომლებიც არ იქნება ხელოვნური. ეს ყველაფერი იყოს ხანგრძლივი და არა ერთდღიანი.



სამიზნე ჯგუფი - მასწავლებლები

გთხოვთ მიუთითოთ სკოლა და სახელი, გვარი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის [illegible] საჯარო სკოლის ქართული, [illegible] ენის მასწავლებელი ხატუნა [illegible]

1) რა ტიპის გაკვეთილებს ატარებთ უფრო ხშირად ? ( დიფერენცირებული, ინტეგრირებული, პროექტ- გაკვეთილი, კომბინირებული, პრაქტიკული უნარ - ჩვევების გასამყარებელი თუ სხვა ) შეგიძლიათ მონიშნოთ 1 ან 2 პასუხი.

ხშირად ინტეგრირებული და პრაქტიკული უნარჩვევების გასამყარებელი გაკვეთილები ვატარებ.

2) რა დოზით იყენებთ ნებისმიერი ტიპის რესურსს გაკვეთილზე ?

გაკვეთილზე საშუალო დონით ვიყენებ რესურსებს.

3 ) ითვალისწინებთ თუ არა რესურსის მოძიების, შექმნის დროს ასაკობრივ თავისებურებებს ?

რა თქმა უნდა აუცილებლად ასაკობრივ თავის- ებურებებს გავითვალისწინებ. ვითვალისწინებ.

4) რამდენად არიან ჩართულები მოსწავლეები რესურსების შექმნა - მოძიებაში ?

მოსწავლეები ძალიან აქტიურები არიან რესურსების ქმნაში. ხშირად ძლიერი კლასის მოსწავლეები, იშვიათად დაბალი კლასის მოსწავლეები.

5 ) რა დამოკიდებულება გაქვთ თანამედროვე ტექნოლოგიებთან ქართული ენის გაკვეთილზე ?

იშვიათად ვიყენებ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

6) რა უფრო ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში ?

მოსწავლის ჩართულობას ზრდის დავალებები, როლური თამაშები, თვალსაჩინო მასალა და საინტერესო აქტივობები.



7) როდის არიან მოსწავლეები თქვენს გაკვეთილზე არა ან/და ნაკლებად მოტივირებულნი ?

როდესაც დამცემია თვალსაჩინო ან სხვა რესურსი არ მაქვს.

8 ) რა იწვევს მოსწავლეებში ქართული ენისადმი ნაკლებ ინტერესს ? გამოკვეთეთ ერთი პრობლემა .

გაგება და ქართული იმიტომ, რომ მათთვის გაუგებარი ცოცხა ინტერესისთვის.

9) გაკვეთილი ძირითადად რომელ ენაზე მიმდინარეობს : ქართულ, სომხურ, თუ ორივე.

ძირითადად ქართულ ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ვიყენებ სომხურსაც.

10) თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება სახელმწიფო ენის ფლობისა და გამოყენებისადმი ? ( გთხოვთ დაასაბუთოთ არგუმენტირებულად )

ჩემი აზრით მოტივაციის ამაღლების ყველაზე საშუალება ის არის, რომ ბავშვი უნდა იყოს ურთიერთობა ქართველ მოსწავლეებთან, ამისთვის ძალიან კარგია ზაფხულის არდადეგებზე ბანაკების შექმნა ან სხვადასხვა ღონისძიებები. ამ შემთხვევაში ბავშვი თავისუფლად ურთიერთობს და სწავლობს ქართულს, და თუ ეს იქნება მეგობრულად ბავშვს სურვილი და ინტერესი ექნება ქართული ენის სწავლისადმი.






5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს ? აღწერე .


5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს ? აღწერე .


4 ) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?
5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.


ა) კითხვა - გაგება;
ბ) მოსმენა- გაგება;
გ) ზეპირი კომუნიკაცია;
დ) წერითი-კომუნიკაცია;
4 ) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?
5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.


4 ) გჭირდება თუ არა მოტივატორის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?

5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.


4 ) გჭირდება თუ არა მოტივატორის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?

5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.


4 ) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?
5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს ? აღწერე.


4 ) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?
5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს ? აღწერე.


ა) კითხვა - გაგება;

ბ) მოსმენა- გაგება ;

გ) ზეპირი კომუნიკაცია ;

დ) წერითი-კომუნიკაცია ;

4 ) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?

5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს ? აღწერე .


ა) კითხვა - გაგება;

ბ) მოსმენა- გაგება ;

გ) ზეპირი კომუნიკაცია ;

დ) წერითი-კომუნიკაცია ;

4 ) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?

5 ) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს ? აღწერე .



ა) კითხვა-გაგება;

ბ) მოსმენა-გაგება;

გ) ზეპირი კომუნიკაცია;

დ) წერითი კომუნიკაცია;

4) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?

5) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.



ა) კითხვა-გაგება;

ბ) მოსმენა-გაგება;

გ) ზეპირი კომუნიკაცია;

დ) წერითი კომუნიკაცია;

4) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?

5) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.


5) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.


5) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.


3) რომელ კომპონენტში გაქვს დაბალი მიღწევა? (მონიშნე)

ა) კითხვა-გაგება;

ბ) მოსმენა-გაგება;

გ) ზეპირი კომუნიკაცია;

დ) წერითი კომუნიკაცია;

4) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?

5) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.


3) რომელ კომპონენტში გაქვს დაბალი მიღწევა? (მონიშნე)

ა) კითხვა-გაგება;

ბ) მოსმენა-გაგება;

გ) ზეპირი კომუნიკაცია;

დ) წერითი კომუნიკაცია;

4) გჭირდება თუ არა მოტივაციის ამაღლება? ვინ ან რა შეიძლება იყოს შენი მოტივატორი?

5) როგორი ტიპის გაკვეთილები მოგწონს? აღწერე.


3) როგორ შეიძლება მოტივაციის ამაღლება თქვენი შვილის შემთხვევაში ქართული ენის სწავლების მიმართულებით?
(შეგიძლიათ დაასახელოთ ნებისმიერი კომპონენტი)


3) როგორ შეიძლება მოტივაციის ამაღლება თქვენი შვილის შემთხვევაში ქართული ენის სწავლების მიმართულებით?
(შეგიძლიათ დაასახელოთ ნებისმიერი კომპონენტი)


3) როგორ შეიძლება მოტივაციის ამაღლება თქვენი შვილის შემთხვევაში ქართული ენის სწავლების მიმართულებით?
( შეგიძლიათ დაასახელოთ ნებისმიერი კომპონენტი )


3) როგორ შეიძლება მოტივაციის ამაღლება თქვენი შვილის შემთხვევაში ქართული ენის სწავლების მიმართულებით?
( შეგიძლიათ დაასახელოთ ნებისმიერი კომპონენტი )

